

**ჟან შარდენის ცნობები ქუთაისის შესახებ
(„მოგზაურობის“ მიხედვით)
JEAN CHARDIN REPORTS ABOUT KUTAISI
ACCORDING TO “THE TRAVELS”**

მადონა რობაკიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

Madona Robakidze

Akaki Tsereteli state University
Kutaisi, Georgia

ABSTRACT

The article presents an analysis of travel impressions of Georgia, particularly, Kutaisi by the 17th century French traveler Jean Chardin. The author provides a thorough description of countless facts and events that he personally encountered there.

There was little information about Georgia in the 17th century France. Probably, the purpose of Chardin’s trip to our country was to provide the Europeans with detailed information about Georgia.

In 1664, Jean Chardin traveled to India to arrange his father’s business and this was his first journey to faraway destinations during which he toured several countries of the East. From India, Jean went to Persia, where he spent six years. In 1671, he published his first work “Coronation of Suleiman” (the Shah of Persia).

On August 17, 1671, Chardin returned to Persia. This time he took a short and direct route from Constantinople to Persia via the Black Sea and the Caucasus. It was at this time that he wrote an essay, a considerable part of which focuses on Georgia.

In August 1672, Chardin arrived in Samegrelo. At that time, Pasha of Akhaltsikhe was ravaging western Georgia. The traveler gives a detailed account of these events.

In Georgia, Chardin especially bonded with Father Zampi, the Italian missionary whose writings, in the form of excerpts, he used in his own work.

The traveler stayed in Kutaisi from January 1 to January 25, 1673. He described the geographical location of the city, and met the King, the Bishop of Gaenati and the Queen. Despite the insufficient description, Chardin’s account of Kutaisi is rather interesting.

საკვანძო სიტყვები: საქართველოს ისტორია (XVII ს.), ჟან შარდენი, ფრანგი მოგზაურები საქართველოში.

Keywords: History of Georgia (17th c.), Jean Chardin, French travelers in Georgia.

XVII საუკუნე მეტად მძიმე პერიოდი იყო საქართველოს ისტორიაში. ცალკეულ სამეფო-სამთავრობად დაშლილ ქვეყანაში მეფე-მთავრებს შორის განუწყვეტელი შუღლი და მტრობა სუფევდა, რასაც თან ერთოდა ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური და სამხედრო მდგომარეობის დაქვეითება. არსებული ვითარება მეტად ხელსაყრელი იყო სპარსეთისა და თურქეთისათვის. ისინი არ კმაყოფილდებოდნენ საქართველოში დროდადრო შემოსევებითა და ხალხის აწიოკებით, ტყვეთა სყიდვით.

XVII საუკუნის საფრანგეთში საქართველოს შესახებ მწირი ცნობები გააჩნდათ. სავარაუდოდ, ჟან შარდენის ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობის მიზანი იყო, ევროპისათვის საქართველო დაწვრილებით გაეცნო (შარდენი 1975: 10).

XVI-XVII საუკუნეებში საქართველოში განსაკუთრებით მომრავლდნენ კათოლიკე მისიონერები, რომლებიც რომის პაპთან დროგამოშვებით გზავნიდნენ რალაციციებს (წერილებს), რომლებშიც მეტ-ნაკლები სისრულით იყო აღწერილი საქართველოს იმდროინდელი ვითარება. ბუნებრივია, გამონაკლისს არც შარდენი წარმოადგენდა.

უპრიანია, ყურადღება შარდენის ბიოგრაფიასაც მივაპყროთ. ჟან შარდენი 1643 წლის 26 ნოემბერს პარიზში დაიბადა. მამა მდიდარი იუველირი იყო, ძვირფასი ქვებით ვაჭრობდა. მამას თავისი ხელობა შვილისთვის უსწავლებია. შარდენები სარწმუნოებით პროტესტანტები იყვნენ, რამაც დიდი როლი შეასრულა მომავალი მოგზაურის ცხოვრებაში.

ჟან შარდენმა კარგი განათლება მიიღო, თუმცა მას, როგორც პროტესტანტს, არ შეეძლო კარიერის ძიება თავის ქვეყანაში, ვინაიდან საფრანგეთის მაშინდელი ხელისუფლება კეთილგანწყობილი არ იყო კათოლიკობისაგან განდგომილთა მიმართ. ამიტომ შარდენმა გადაწყვიტა ბედი შორეულ ქვეყნებში ეპოვა.

1664 წელს 22 წლის ჟან შარდენი მამის კომერციული საქმიანობის მოსაგვარებლად ინდოეთში გაემგზავრა. ეს იყო მისი პირველი შორეული მოგზაურობა. ის აღმოსავლეთის რამდენიმე ქვეყანას ესტუმრა. მოგზაურობაში შარდენს თან ახლდა ლიონელი ვაჭარი რეზენი. ინდოეთიდან ჟანი სპარსეთში წავიდა. აქ მან ექვსი წელი დაყო. ამ ხნის განმავლობაში შეისწავლა სპარსული ენა, კომერციულ საქმიანობასთან ერთად აკვირდებოდა სპარსეთის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას.

1670 წელს შარდენი საფრანგეთში დაბრუნდა და 1671 წელს გამოაქვეყნა თავისი პირველი თხზულება სპარსეთის შაჰის „სულიემანის მეფედ კურთხევა“.

1671 წლის 17 აგვისტოს შარდენი მეორედ გაემგზავრა სპარსეთში და თან ევროპული საიუველირო ნაწარმი წაიღო, რომელიც მას სპარსეთის შაჰის აბას მეორისაგან ჰქონდა შეკვეთილი. ამჯერად შარდენი მოკლე და პირდაპირი გზით ჩავიდა სპარსეთში კონსტანტინოპოლიდან შავი ზღვისა და კავკასიის გავლით. სწორედ ამ პერიოდში დაწერა მან ეს თხზულება. ნაშრომის საკმაოდ ვრცელი ნაწილი საქართველოს შეეხება. მას თან

ახლდა თავისი პირველი მოგზაურობის თანამგზავრი რეზენი და აგრეთვე მხატვარი გრელო.

ჟან შარდენი 1672 წლის სექტემბერში ესტუმრა თბილისს, 1673 წლის 28 თებერვალს კი გაემგზავრა ქალაქიდან. მან მოიარა დასავლეთი და აღმოსავლეთი საქართველო. მოგზაურმა დეტალურად აღწერა საკუთარი თვალთ ნანახი ბევრი ფაქტი თუ მოვლენა. პირადი შთაბეჭდილებები საქართველოს წარსულის შესახებ შეავსო ბერძენი, რომელიც და სპარსელი ისტორიკოსების თხზულებებიდან ამოკრებილი მასალებით. ასევე, ყურადღება გაამახვილა წინამორბედ ევროპელ მოგზაურთა და მისიონერთა ჩანაწერებზე.

1672 წლის აგვისტოში შარდენი სამეგრელოში ჩამოვიდა. ამ დროს დასავლეთ საქართველოში ახალციხის ფაშა თარეშობდა. ამ ამბების შესახებ ის დაწვრილებით გვიყვება.

საქართველოში შარდენი განსაკუთრებით დაახლოებია იტალიელ მისიონერ ძამპს, რომელიც თეათინელთა ორდენის ბერების პრეფექტი (წინამძღვარი) იყო. ძამპს სამისიონერო მოღვაწეობის პერიოდში დაუწერია ვრცელი თხზულება ამ ქვეყნის შესახებ, რომელიც შარდენისათვის გადაუცია. შარდენმა კი ეს თხზულება თავის ნაშრომში ნაწყვეტების სახით გამოიყენა (შარდენი 1975: 15).

მკვლევრები თვლიან, რომ ძამპის ნაშრომი ტენდენციურობით ხასიათდება. ავტორი ყველაფერს კლერიკალური პოზიციებიდან აფასებს. მისი აზრით, ის, რაც კათოლიკურ დოგმებს არ შეესაბამება, მანკიერია და ხალხის სულიერ ცხოვრებას ამახინჯებს. ამით იგი, ერთი მხრივ, სამეგრელოში თავის მისიასაც ამართლებს, ხოლო, მეორე მხრივ, რომის პროპაგანდას არწმუნებს სამეგრელოში კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების აუცილებლობაში (იქვე: 17).

1660 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე III და სამეფო კარზე დიდი არეულობა დაიწყო. ტახტზე ავიდა ალექსანდრეს ვაჟი ბაგრატ, რომელმაც პირველად რამდენიმე თვე იმეფა. დედოფალმა ნესტან-დარეჯანმა, მისმა დედინაცვალმა, ბაგრატს თვალები დათხარა და ქუთაისის ტახტი წაართვა. დარეჯანმა იმერეთის ერთ-ერთი დიდებული, ვახტანგ ჭუჭუნაშვილი, რომელსაც „ბაგრატონად იტყოდნენ“, ქმრად დაისვა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში მასთან ერთად მეფობდა. მაგრამ მალე დიდებულები აჯანყდნენ. ერთმა ნაწილმა დახმარებისათვის დადიანს მიმართა, მეორემ კი ქართლის მეფე მოიწვია. ვამეყ დადიანმა დაასწრო ვახტანგ მეხუთეს, იმერეთში შეიჭრა, აიღო ქუთაისის ციხე და ვახტანგს თვალები დასთხარა (კაკაბაძე 1923: 67). ამ არეულობით ისარგებლა ახალციხის ფაშა ასლანმა. მან ქვეყანაც მოაოხრა და დედოფალიც დაატყვევა. სიტუაციები 1668-1671 წლებში კიდევ უფრო გამწვავდა. 1668 წელს დარეჯანმა ახალციხის ფაშასაგან ჯარი დაიქირავა და იმერეთში შემოვიდა. მას მხარი დაუჭირეს: დადიანმა, გურიელმა და სეხნია ჩხეიძემ. შინაფეოდალური ომი ცვალებადი წარმატებებით მიმდინარეობდა. 1672 წელს ოსმალებს ქუთაისში გურიელი შემოუძღვა. ბაგრატ მეფემ ახალციხის

ფაშას ქრთამი მიართვა, შვილიც მისცა მძევლად და ტახტიც დაიბრუნა. ოსმალებმა იმერეთი დაარბიეს, მაგრამ ქვეყანა ისე იყო გამარცხული, რომ, შარდენის ცნობით, მათ ვედარაფერი მოიპოვეს, გარდა ტყვეებისა (შარდენი 1975: 53).

საქართველოში შარდენის ჩამოსვლა ოსმალების სწორედ ამ შემოსევას დაემთხვა. შარდენი თვითონ შეხვდა მეფეს. უსინათლო ბაგრატი არც იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ძლიერი ხელისუფალი. შარდენთან საუბრისას ის ჩივის, რომ მას საკუთარი ნება-სურვილით არაფრის გაკეთება არ შეუძლია და მთლიანად კარის მოხელეებზეა დამოკიდებული (იქვე).

შარდენი ქუთაისის შესახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდის: „გავედით სამ საკმაოდ განიერ და სწრაფ მდინარეში და სადამო ხანს ქუთაისში ჩავედით. დავბინავდით ეპისკოპოს გენათლის სახლში. მიუხედავად იმისა, რომ ეპისკოპოსი შინ არ დაგვხვდა, საკმაოდ კარგად მიგვიღეს.

ქუთაისი მდინარე ფაზისის ნაპირზე, მთის ძირას გაშენებული ქალაქია. მეექვსე საუკუნის ბერძენი ისტორიკოსები მას „ქოთებს“ უწოდებენ და მნიშვნელოვან ქალაქად თვლიან. ამჟამად აქ მხოლოდ ორასი სახლია. ირგვლივ დიდებულთა სახლები და მეფის სასახლეა, რომლებიც ახლოს დგანან ერთმანეთთან. ამ ქალაქს არც ციხე-სიმაგრე აქვს და არც გალავანი. იგი ყოველი მხრიდან ღიაა, გარდა იმ მხარისა, რომელთაც მდინარე და მთა აკრავს. ქალაქის პირდაპირ, მდინარის გაღმა, უფრო მაღალ მთაზე, ვიდრე თვით ეს ქალაქია გაშენებული, დგას ქუთაისის ციხე-სიმაგრე... მას აქვს კოშკები, ერთი დონჟონი და ორმაგი კედელი, რომელიც მაღალია და მტკიცე უნდა იყოს“ (შარდენი 1975: 282).

შარდენი აღნიშნავს, რომ მან 1673 წლის 1 იანვარი ქუთაისში გაატარა, რათა პატივი მიეგო რელიგიური წესებისათვის. მას თან ორი კაპუცინიც ახლდა. სწორედ აქ შეემთხვა შარდენს ინციდენტი. მისთვის არასასურველი სტუმარი არწმუნებდა, რომ თბილისში წასვლის ნაცვლად ახალციხეში ფაშასთან უნდა წამოზრდნდეთო, რაც შარდენის სურვილი ნამდვილად არ იყო. თანმხლებ კაპუცინებთან მოლაპარაკების შემდეგ შარდენი დათანხმდა გენათელი ეპისკოპოსის მსახურის წინადადებას და გადაწყვიტა ჩხარში დაბრუნებულიყო, სადაც გენათელის საზაფხულო სასახლე მდებარეობდა და იქ თავშესაფარი ეპოვა.

5 იანვარს შარდენი ეპისკოპოსს ესტუმრა. „დედოფალი ძალიან ლამაზია... მაგრამ თავდაუჭერილია... თავშეუკავებლად იქცევა... თუმცა სუფრის წესები იმერეთის დედოფალთანაც ისეთივეა, როგორც სამეგრელოს დედოფალთან, მხოლოდ მაგიდა იქ უფრო მდიდრულადაა გაწყობილი ვერცხლის ჭურჭლით და მსახურებსაც ნაკლებად ბეჩავი შეხედულება აქვთ...“ (იქვე: 283).

8 იანვარს გენათელთან მივიდა იმერეთის მეფის მიერ თბილისში გაგზავნილი ერთი აზნაური, რომელმაც დედოფალს აცნობა, თუ როგორ წარმატებით შეასრულა მეფის დავალება. რომ მან იშოვა სასესხებლად 8 ათასი ეკიუ გირავნობის მეშვეობით. მეფეს ამ საქმისთვის სამეფო ოქროს

გვირგვინიც კი დაეთმო, მაგრამ გვირგვინის ღირებულება 4 ათასი პისტოლი იქნებოდა და გირაოში ჩადება არავინ მოისურვა.

„საქართველოს მთავარმა შეიტყო თუ არა, რომ იმერეთის მეფე და დედოფალი გასაჭირში არიანო, მათ საჩუქრები გამოუგზავნა: მეფეს – სამი ცხენი, იარაღი და ათასი ეკიუ ფულად, დედოფალს – ოქრონაქსოვი და მოვერცხლილი ფარჩა, ატლასი, თავრა და ხუთასი ეკიუ. საქართველოს მთავარი ასე იმიტომ მოიქცა, რომ ამით სურდა განემტკიცებინა მათი უდიდებულესობის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ ერთ-ერთი მისი ვაჟიშვილთაგანი ეშვილებინათ“ (შარდენი 1975: 286).

12 იანვარს შარდენმა ინახულა იმერეთის მეფე. მოგზაური ამ ამბავს ასე აღწერს: „მეფე ლაშქრიდან დაბრუნებულიყო, რადგანაც შეუძლოდ გამხდარიყო. დიდი პატივითა და ალერსით მოგვეპყრო, თუმცა საყვედური გამოთქვა იმის გამო, რომ იუსტინმა და მისმა თანამომძიებმა ქუთაისი დატოვეს. დიდი სევდა მაწევს გულზე – უთქვამს მეფეს, ერთი საბრალო ბრმა ვარ და ყველაფერს მაკეთებინებენ, რაც კი სურთო... ვერ ვბედავ ვინმეს ვაწყენინო იმის შიშით, რომ წუთისოფელს არ გამომასალმოს“ (იქვე).

შარდენი მეფეს შემდეგნაირად ახასიათებს: „...საბრალო მეფე ახალგაზრდაა და საკმაოდ კარგი აღნაგობა აქვს; სახის ზედა ნაწილი მუდამ თავსაფრითა აქვს შეხვეული, რომლითაც თვალების ფოსოებიდან გამონაჟონი სითხე შეიწოვება და რომელიც ამ სისამაგლეს მნახველის თვალთაგან ფარავს. იგი დიდად გონებამახვილია, უყვარს ხუმრობა და ოხუნჯობა“ (იქვე: 287).

ჟან შარდენმა ქუთაისი 25 იანვარს დატოვა და 26 იანვარს თბილისში ჩავიდა. ნაშრომში თბილისის აღწერას უფრო ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი. რაც შეეხება ქუთაისს, მიუხედავად აღწერის სიმწირისა, შარდენის ცნობები მეტად საინტერესოა.

გამოყენებული ლიტერატურა

კაკაბაძე 1923: კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. თბილისი, 1923.

შარდენი 1975: ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ). ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მზია მაგლობლიშვილმა. თბილისი, 1975.